15-ს ოკტომბერს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 20.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი. ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარ წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

უველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩათვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მთის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ: კიდევ ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისა გამო. — ოთხაქტიანი კრებულთა რეგულის კანონი. — თბილისიდამ, დიდების ეკლესიის კურთხევა. — ვლადიკავკაზიდამ. — სვანების ცხოვრებიდამ. — საბრალო სწავლანი ᲙᲐ დარიგებანი მოძღვრის სიმწყსოთვის. — ქრისტიან. გავრცელება საქართველოში XIII. — ყურნალ-გაზეთთა მიმოხილვა. — სხვა-ᲙᲐ-სხვა ამბები ᲙᲐ შენიშვნები. — მართლ-მადიდებელის ეკლესიის ღვთის მსახურების ზოგიერთი ტიპიკონის კითხვების აღხსნა ᲙᲐ განმარტება. — რედაქციის პასუხი. — განცხადებანი.

კიდევ ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისა გამო.

„მწყემსის" მკითხველებმა კარგად იციან, რომ თფილისში იყო დაარსებული ქართული საეკლესიო გალობის აღმადგენელი კომიტეტი 1861 წლიდგან დაწყებული. ამ კომიტეტის თავს-მჯდომარედ ბევრი სხვა-და-სხვა პირები ყოფილან, მაგრამ ამ კომიტეტს საქმით, თითქმის, არაფერი არ გაუკეთებია. უკანასკნელ დროში, რაც საქართველოს ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲐᲓ მობრძანდა მაღალ უოველად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე, ამ კომიტეტმა თავი გამოიჩინა და თვითონ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ მონაწილეობით კომიტეტის მოქმედება გაცხოველდა. ᲐᲢᲧᲓᲐ ერთი ცილობა იმაზე, თუ რომელი კილოს გალობა უნდა გადაღებულიყო ნოტებზე: ქართლური თუ გურეული — იმერული. ბევრი ითქვა ორივე გალობის კილოზე და, როდესაც კანტრახტით ეკვრებოდნენ ბ. ᲨᲘᲚᲘᲛᲝᲜ ᲥᲝᲠᲘᲫᲔᲡ, რომელსაც ქართული გალობა ნოტებზე უნდა გადაეღო, ამ დროს კიდევ შეჩერდა საქმე. ამ დროს ᲣᲝᲔᲚᲐᲓ სამღვდელო ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ გამოაცხადა, რომ ის თავის ხარჯით იკისრებს ქართლური კილოს გალობის ნოტებზე გადაღებას და იმერული კილოს გალობის ნოტებზე გადაღების საქმე მიენდო თვით იმერეთის სამღვდელოებას. ამით საზოგადო კომიტეტი დაიშალა და დარჩა მარტო ქართლური კილოს გალობის აღმადგენელი კომიტეტი. ᲣᲝᲔᲚᲐᲓ სამღვდელო ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ უკვე შესდგომია ამ საქმეს და შეუკრავს კიდეც პირობის წერილი ქართლური კილოს საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ ბ. მ. მ. ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲝᲔ-ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲗᲐᲜ. ᲐᲘ ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ:

ᲩᲣᲜᲓ-ᲮᲐ ᲬᲔᲚᲘᲬᲐ, ოქტომბრის Ა-ᲮᲐ დღესა, ᲕᲛᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲛᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ—ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ ᲮᲐ-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲘᲙᲐᲠᲛᲐ Კ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲗᲝᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲛᲬᲐ-ᲠᲐᲢᲝᲠᲛ ᲠᲣᲡᲗᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥ-ᲢᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲝᲔ-ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲨᲔᲙ-

კარით ეს წერილი შემდეგ პირობათა ზედა: 1) პირველი ჩვენგანი—ეპისკოპოსი ალექსანდრე მიანდობს ბ. იპოლიტოვ-ივანოვს საეკლესიო ქართული გალობის მუზიკალურ ნოტებზე გადაღებას, სულ რიცხვით ხუთას—ან მეტს, ან ნაკლებ გალობათა იოანე ოქროპირისა, კასიანი დიდისა ⸗ გრიგორი ორ-მეტყველის წირვათა, მწუხრისას, ცისკრისას ⸗ სხვა მართლ-მადიდებელი ეკლესიის გალობათა. ამახთანავე სდგება ქართულ საეკლესიო გალობათა პროგრამა, რომელიც უნდა იქმნეს დაწერილი მუზიკალურ ნოტებზე

2) ბ. მიხაილ მიხაილის ძე იპოლიტოვ-ივანოვი კალდებულია გადიღოს ნოტებზე პირველ მუხლში მოხსენებული რაოდენობა გალობათა ორი წლის განმავლობასა შინა დღიდგან ამა პირობის შეკვრისა, ე. ი., პირველს ოკტომბრამდისინ ჩუენ- წლისა.

3) ბ. იპოლიტოვ-ივანოვი ამ პირობის მეორე მუხლის აღსრულებამდისინ კალდებულია იკალობოს წირვაზე ეკლესიაში მთელი წირვის წესი სალხთა მოსასმენლად

4) იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო ⸗ სახორციელო გალობის მცოდნე პირთაგან მოწონებული იქმნა წირვის კალობა, რომელსაც იკალობებენ ეკლესიაში, მაშინ ბ. იპოლიტოვ ივანოვი კაკრძალებს ⸗ დასრულებს უველა გალობათა, მოხსენებულთა პირველ მუხლში.

5) პირველ მუხლში მოხსენებულ უველა საეკლესიო ქართულ გალობათა ნოტების გადაღების შემდეგ, ბ. იპოლიტოვ-ივანოვი, კალდებულია ნოტებზე გადაღებული გალობა დაბეჭვამდისინ, პირველად წარუდგინოს გალობის აღსადგენ კომიტეტს, რომელიც არსებობს დეკანოზი ევსტატი ელიევის თავმჯდომარეობით, შემდეგ უნდა განსილვიოს პეტერბურღში ტენზურას და ნება დართული დასაბეჭდად წარუდგინოს კალაში აღექსანდრე ეპისკოპოსს რომელისაგანაც უნდა მიიღოს შრომის თვასად ორი ათასი მანეთი.

6) ნოტები, სასულიერო ტენზურისაგან ნებადართული პეტერბურღში, იქნებიან დაბეჭდნილნი ეპისკოპოსის ალექსანდრეს სარჯით; შემდეგ, როგორც საკუთრება თვითონ ეპისკოპოსისა, დაბეჭვის შემდეგ, გაიუალებიან ეპისკოპოსის ალექსანდრეს სასარგებლოდ.

7) იმ შემთხვევაში, თუ წირვის გალობა, რომელსაც იკალობებენ ეკლესიაში, მოწონებული არ იქნება, ბ, იპოლიტოვ-ივანოვი არ განაგრძელებს მუშაობას, ⸗ წირვის წესის გალობის გადაღებისათვის ნოტებზე არაფერს არ იღებს; ეს პირობა მაშინ შეირაცხება გაუქმებულად.

8) ეპისკოპოსი ალექსანდრე, მიანდობს რა ქართულ გალობის გადაღებას ნოტებზე მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს, უნიშნავს მას მგალობელთა: თბილისის ქალაქის მღვდელთა ზოლიეკტო ⸗ ბასილ კარბელოვთა, მღვდელს გრ. მღებრიევს ⸗ მღვდელს ა. მოლოდინოვსა. ამით ბ. იპოლიტოვ-ივანოვს ეძლევა საშუალება ერთის მხრით, ნოტებზე გალობის გადაღებისა, ურომლოთ ბ. იპოლიტოვ-ივანოვს არ შეუძლია ამ საქმის ხელის მოკიდება; მეორეს მხრით, ეს ათვისუფლებს მას ჰასუხის-გებისაგან, რომ გალობის მასალა, რომელსაც მას გადასცემენ ნამდვილი ⸗ მართალი იქნება.

Ჩს პირობის წერილი Ყდ. სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის მხრით ძლიერ კარგია, მაგრამ მეორეს მხრით, ბ. იპოლიტოვ-ივანოვზე არის დამოკიდებული ყველაფერი: უნდა აასრულებს და უნდა არა,—ვერავინ ძალას ვერ დაატანს. ამასთან კონტრაკტის დაწერის დროს მომავალი დროის სხვა-დასხვა მოულოდნელი შემთხვევაები არ არიან მიღებულნი სახეში. Ყოველ-გვარ შემთხვევაში, გულით და სულით ვისურვებთ, რომ ამ საქმეს კეთილი ბოლო მისცემოდეს და 1886 წელს 1 ოკტომბერს მცხეთის სობოროში, ბ. იპოლიტოვ-ივანოვისაგან შედგენილ ნოტებზე ქართული გალობა მოგვესმინოს, ის გალობა, რომელითაც ჩვენი წინაპარების ყურთა-სმენა ტკბებოდა ტაძრებში. თუ ბ. იპოლიტოვ-ივანოვმა ეს საქმე გაასრულა მისი სახელი ჩვენში დაშთება საუკუნო სახსოვრად. შრომის ფასი, რომელიც ბ. იპოლიტოვ-ივანოვს ენიშნება, სათქმელი არ არის. ჩვენის აზრით, ის ამ საქმეს ჰკიდებს ხელს არა საჩუქრისათვის, არამედ კეთილშობილური განზრახულებით...

Ჳირველი საზოგადო კომიტეტი, გალობის აღმადგენელი, რომელიც არსებობდა თფილისში მ. მაკარი არხიმანდრიტის თავსმჯდომარეობით, დაიშალა და იმერული კილოს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების საქმე იმერეთის, ზურიის და მინგრელიის სამღვდელოებასვე მიენდო. იმედია, რომ, თუ მთელს დასავლეთ საქართველოში გალობის მზრუნველი დ მოთავე ერთი და ორი პირი არავინ აღმოჩნდა, თვითონ სამღვდელოება ეცდება იმერული კილოს საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას.

Ჩუსეთიდამ მოსული კაცი, ბ. იპოლიტოვ-ივანოვი, თუ ამისთანა სასარგებლო პირობაებით კისრულობს ქართული 500 სხვა-და-სხვა საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას, ნუ თუ ჩვენი მიწის შვილი, ბ. ფილ. ᲩორᲘᲫე, არ მიიღებს თავის თავზე ამისთანავე შრომას და არ დაუტევებს თავის სახელს საუკუნო მოსახსენებელად ქართველთა შთამომავლობას? ამ კითხვის პასუხს შემდეგ მოისმენენ ჩვენი გაზეთის მკითხველნი.

ყოფა-ქცევა კრებულთა რჯულის კანონით.

(გაგრძელება)

ᲐᲬᲧᲔᲛᲡᲜᲘ უძველესი ეკლესიისა საზოგადო ცხოვრებაში იღებდენ ძლიერ ცხოველ მონაწილეობას, როგორც ამას მოითხოვდა დრო და საზოგადოება. Დიდნი მწყემსნი ზრუნავდნენ ხალხის საჭიროებაზე, საზოგადო კეთილ მდგომარეობაზე და პირადათ იღებდენ მონაწილეობას საზოგადო საქმეების მმართვაში. Იმათი მოქმედება არ გადიოდა დანიშნულ წრიდგან, რომელიც შეფეროდა მათ მნიშვნელობას და სულიერ გავლენას. Იმათ კარგად ესმოდათ და აღასრულებდნენ თავის მოვალეობას ღმერთთან და ეკლესიასთან. ძრიელ დიდი და სხვა-და-სხვა ნაირი არის იმათი მოქმედება საზოგადოებაში. Ისინი ივლტოდენ შეეტანათ და სისრულეში მოეყვანათ ქრისტიანობრივი იდეია პიროვნობის დაფარვისა, პატივცემისა და კაცობრივი ღირსებისა. Ბანსაკუთრებით საყურადღებო არის ის გავლენა მწყემსთა, რომელიც იმათ ჰქონდათ თავის დროის ხალხის მმართველებზე. ხალხის მმართველნი თვითონ რაცხდენ დიდ რასაგებლოდ იმათ გავლენას საზოგადო საქმეებზე. Აი ფაკტები: ხელდასხმის შემდეგ **ამბროსი მედიოლანელი** გამოეცხადა იმპერატორ ვალენტინს (უმეოროსს) და მუსაიფში მასთან დაიწყო ძაგება საზოგადო ბოროტ-მოქმედებისა. მეფე არ გაჯავრდა ამაზე და უპასუხა: განჰკურნე სნეულებანი სულისა ჩვენისა, როგორც გაუწყებს საღმრთო კანონი. Ერთ ადგილობრივ კრებაზე (პრელატსკში) დაადგინეს: ეპისკოპოსნი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ მმართველთა მოქმედებას და, როდესაც ისინი კანონს დაარღვევენ, მათ ამხილონ ისინი. Მწყემსნი ძველი ეკლესიისა როგორც სწავლა-დარიგებაში ეკლესიის კათედრიდგან, ისრე კერძო წერილებში დაჟინებით თხოულობდენ თავის მედროვე მმართველებისაგან მოწყალებას და შებრალებას, სიყვარულს და სიმშვიდეს თავის ქვეშევრდომთან. Ისინი არიგებდნენ მმართველებს Ბრიგორი Ღვთისმეტყველის სიტყვებით: „მრისხანებითა ვერა მოიპოებდე გულსა ხალხისასა.“ Იმათი ჰაზრით, მოწყალება უმაღლესი და უმჯობესია, ვინემ გმობა და სასჯელი; ზნეობითი გავლენა ფრიად სასარგებლოა და საჭირო, ვინემ გარეგანი ძალა და იძულება. Მაგრამ, რადგანაც ყველას არც კი შეუძლია შეითვისოს წმიდა ზნეობითი გავლენა, ამისთვის საჭიროა არს ხან-დის-ხან სასჯელიც. Ეგვიპტის მმართველი ანდრონიკე განყენებული იყო ეკლესიიდგან თავის ეპისკოპოზის მიერ. Აი რას ჰსწერს ზინეზი, პენტაპოლის ეპისკოპოსი სხვა ეპისკოპოზებს: „ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲔ ნუ ირიცხება ქრისტიანად და, როგორც ბოროტის მომქმედი, განგდებულ იყოს ეკლესიისაგან თავის ოჯახით. Იმან პირველად შემოიღო თავის ქვეყანაში სხვა-და-სხვა სასჯელი, მოიგონა სხვა-და-სხვა საწვალებელი იარაღები, რომლებითაც ამტვრევდა ხელებს, ფეხებს, სჭრიდა ყურებს, გლეჯდა ტუჩებს.“ Წმიდა Ათანასე Ალექსანდრიელი აუწყებს დიდ ᲞᲐᲡᲘᲚᲡ ᲚᲘᲕᲘᲘᲡ მხედართ მთავრის ეკლესიიდგან განტევებას, რომელმაც თავი მისცა ყველა-ნაირ გარყვნილებას და უწყალოებას; ურცხვად და სიცოფით ძვირს შეამთხვევდა სხვის ქორწინების საწოლს. Ნამდვილია ის ფაკტი, რომ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ მედიოლანელმა მისცა საეკლესიო სინანულს მეფე ᲗᲔᲝᲓᲝᲡᲘ დიდი, რომლის განკარგულებით გასწყვიტეს ᲗᲔᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲘᲡ მცხოვრებლები აჯანყებისთვის. Შვიდი ათასი კაცი დახოცეს უმხილებლად და გაუსჯელად. Მხოლოდ მხილებითა და სწავლა-ქადაგებითა არ თავდებოდა მოქმედება მწყემსთა საზოგადო ცხოვრებაში. Ისინი იყვნენ მოქალაქეების აყალ-მაყალის და საჩივრების მსაჯულად. Ნეტარი Ავგუსტინი ჰსწერს, რომ იმას აწუხებს გროვა ხალხისა, რომელიც მოუშორებლივ თხოულობს მისგან სამარალს სხვა-და-სხვა საქმეებში და ხშირად არ აქვს მას დრო, რომ სულს განსვენება მისცეს. Არა ნაკლებ მაგალითებს ვხედავთ საეკლესიო ისტორიაში, რომ მწყემსნი იყვნენ მფარველნი და შუამდგომელნი ხალხისა თავის მმართველთან. Ამხანაგი პონტის მაზრის მმართველისა სდევნიდა ერთ დიდი კაცის ქვრივს და უნდოდა ის ძალ-დატანებით ცოლად შაერთო. Დევნილი მიიქცა ეკლესიის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ეკლესიაც ვერას უშველიდა, თუმც მწყემსის მოწყალება არ გასჩენოდა. Ბევრი სთხოვა მსურველმა დიდ ᲞᲐᲡᲘᲚᲡ, მაგრამ ის მაინც არ დათანხმდა მათ შეუღლებაზე. Მწყემსთა კეთილ-მოქმედებას სამზღვარი არა ჰქონდა. Ვინ არ იცის, თუ იმ დროში რამდენი სკოლები და სხვა სამოწყალო წესდებულებანი იყო იმათგან შემოღებული! Ვინ არ იცის, რომ მწყემსნი თავის საკუთრებასაც არ ზოგვიდენ საზოგადო მოთხოვნილებისათვის! Მაგალითად ᲞᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ ჰსწირავდა თავის საკუთარი საუნჯიდგან ხიდების ასაგებად და აბანოების გასაკეთებლად რაც კი რამ შეეძლო, თავის თავსაც არ ზოგვიდენ სხვისი კეთილ-დღეობისთვის! Აი ესრეთნი უნდა იყვნენ მწყემსნი და მოძღვარნი!

ᲩᲙᲚᲔᲡᲘᲐ, როდესაც საზღვრავდა კრებულის ყოფა-ქცევას ზნეობითი მხრით, გამოდიოდა მწყემსობის პრინციპის მნიშვნელობიდგან. ზნეობითი მო-

თხოვნილება და მოვალეობა ბორკილ-მოქმედებისა. თვის აწვება განსაკუთრებითი ძალით კრებულს, ვინემ ერის კაცს, რადგანაც იმათ ბევრი მოეთხოვებათ. კრებული, ვინემ სხვა მორწმუნე, უნდა იყოს მაგალითი ზნეობითი სიწმინდისა, განშორებულ ყველა-ნაირ შეცთომასა. ამის გამო რჯულის კანონი წარუწერდა და წარუწერს კრებულს კანონს, რომლითაც ისაზღვრება მათი დამოკიდებულება გარეშე დედაკაცებთან. მე 86 ხალკიდონის კრების კანონით ყველა ისინი, „რომლებიც გარეშემო იხვევენ მეძავ დედაკაცებს თავის სულის დასაღუპავად, უკეთუ ეკუთვნიან კრებულს, განტევებულ და განკვეთილ იყოს ეკლესიისაგან. კრებული უნდა განშორებულ იყოს ყველა-ნაირ დამოკიდებულებას გარეშე დედაკაცებთან, თუმც ეს დამოკიდებულება და მისვლა-მოსვლა საეჭვო არის. უბიწოება იყო და არის ერთი უმთავრესი თვისებათაგანი კრებულისა. მრუშებისთვის და არშიყობისთვის ეკლესია განჰკვეთს.“ ის არ აძლევდა ნებას არც ერთს კრებულთაგანს (უცოლოს), რომ მას ჰყოლოდა თავის სახლში გარდა დედისა, დისა, მამიდისა და სხვა პირთა, რომელნიც საეჭვონი არ იყვნენ, რომ ცუდი ხმა არ გავარდნოდათ. ამ შემთხვევის გამო ვპოულობთ ბანორიის და თედოსიის კანონს, რომელიც არის შეთანხმებული ნიკიის კრების ამგვარ კანონთან. ეს კანონი აღუკრძალავს კრებულს გარეშე დედაკაცებთან ცხოვრებას და ნებას რთავს შეინახოს თავის ოჯახში მხოლოდ დედა, დები იმ განზრახვით, რომ ბუნებითი კავშირი განაქრობს ყველა-ნაირ ეჭვს. სხვა კრებაებზე და შემდგომ დროში კრებულს სულ აღუკრძალეს გარეშე დედაკაცების ოჯახში ყოლა, გარდა უახლობელესი ნათესავისა; ეპისკოპოზს კი ამ კრებების დადგენილობით სულ არ ჰქონდა ნება, რომ ოჯახში ვინმე დედაკაცი ჰყოლოდა, თუნდაც იგი მისი ნათესავიც ყოფილიყო.

ეს აღკრძალვა იყო გამოწვეული იმ ცუდი ჩვეულებით, რომელსაც ეწოდებოდა თანა-მესარეცლეობა (сожительство) და რომელიც ძლიერ გავრცელებული იყო ქრისტიანებში. ეს ჩვეულება ეგრე იხატება: ზოგიერთი მამაკაცები იყვანდნენ ხოლმე თავის სახლში ქალწულ-ქალებს ანუ სხვა დედაკაცებს ერთად მოღვაწეობისათვის, ოჯახის მოსავლელად, შვილების აღსაზრდელად ანუ სხვა რომელიმე მიზეზისა გამო. თანა-მესარეცლეობა, წოდებული ძმობად, სუფევდა წარმართებს შორის და იქაც დაჰსცინოდენ და აძაგებდნენ მას. ეგრეთვე დაჰსცინოდენ და აძაგებდენ ამ ჩვეულებას ქრისტიანების საზოგადოებაშიაც. წმ. იოანე ოქროპირი იხსენებს ხოლმე თავის ქადაგებაში ამ ჩვეულებას, როგორც გასაცარს და გაუგებარს და რომელსაც დიდ იქვნეულობაში შეჰყავს კაცი. ძველთა ცნობილი ჰქონდათ, ამბობს წმ. მამა, მხოლოდ ორნაირი კავშირი დედაკაცებთან: კანონიერი შეუღლება და უკანონო მრუშება. ჩვენს დროში კი შემოიღეს მესამე ახალი და საუცხოო ჩვეულება, რომლის მიზეზი ძნელი გასაგებია. არიან ისეთნი კაცნი, რომლებიც მეუღლისა და ნათესავის გარდა იყვანენ თავის სახლში ახალგაზდა უქმრო ქალებს და იყოლიებენ თავისთავთან ღრმა მოხუცებამდის და ამტკიცებენ, რომ იმათთან არავითარი საქმე არ აქვთ. თუმც ეკლესიის კანონები წინააღუდგებოდა უკანონო შეუღლებას ქრისტიანებ შორის და უკრძალავდა ფიცხლად, მით უმეტესად ამ აღკრძალვას განსაკუთრებითი ძალა ჰქონდა კრებულის შესახებ, ამისთვის რომ უკანონო შეუღლება არა-თუ უკარგავდა კრებულს ხალხის თვალში სახელს და პატიოსნებას, არამედ აკლებდა მისს უფლებას სხვისი მხილებისას ამავე ცოდვაში. კრებულს არ აქვს ნება მარტოხლად იაროს ქალთან და ემუსაიფოს. თითქმის, როდესაც საქმისთვის ანუ თავის თანამდებობისაგამო მიდის ქალთან, მაშინაც თავის-თავთან უნდა იყოლიოს სარწმუნო კაცი. იერონიმი არ რაცხს საკადრისად კრებულისათვის ხშირად მისვლა-მოსვლას ქალებთან სასიყვარულოდ და აგრეთვე ალერსიანად მიქცევ-მოქცევას მათთან. „წმიდა სიყვარული არ მოითხოვს არც ხშირ საუბრებს, არც საალერსო ბარათებს.“ სიტყვები: ჩემო თაფლო, ჩემო სასურველო, მშვენიერება, ლხინება და სხ. გვაწითლებენ და გვაყვითლებენ კომედიებში, მით უმეტეს ეგეთი სიტყვები ბერების და მღვდლების პირში უმფრო შემარცხვენელნი არ არიან!!

ეკლესია უკრძალავდა კრებულს ერთად აბანოში ე. ი. ერთ სახლში ბანაობას ქალებთან. ზონარის სიტყვით ეკლესია ამ შემთხვევაში საფუძვლიანად იქცეოდა იმისთვის რომ, თუმც შეხვედრა ქალებთან სახლში და გზაზე მოიყვანს მღელვარებაში შემხვედრ მამაკაცთა, მით უმეტეს ისინი მოვლენ მღელვარებაში, ოდესაც ერთად ქალებთან ბანაობენ. აღკრძალვა ერთად ბანაობისა ქალებთან, ვალსამონის განმარტებით, გავრცელდება ცოლ-ქმარზედაც.

თუმც წმიდა ეკლესია უკრძალავდა კრებულს სიძვას, მრუშებას, არშიყობას, ქალებთან ტრფიალებას და მიჯნურობას, მაგრამ ძლიერ მოხარული იყო ეკლესია, როდესაც სამღვდელო პირი კანონიერ გვირგვინს თავზე დაიდგამდა, რასაკვირველია, ხელ-

დასხმამდის. მეკლესია კიდევაც ჰსწყველის იმათ (ფრანგებს), რომლებიც უყურებენ სამღვდელო პირთა ქორწინებას, როგორც დამამცირებელ საქმეს. მხოლოდ აღკრძალული ჰქონდა კრებულს დაქორწინება ხელ-დასხმის შემდეგ, რადგანაც ხელ-დასხმის შემდეგ ის არ ეკუთვნის არც ამ ქვეყანას, არც თავის თავს, არამედ თვით ღმერთს. მართალია, ანკირის კრებამ ნება დართო დიაკენებს ცოლის შერთვისა, მაგრამ ეს განკარგულება აღგილობრივი კრებისა არის გამორიცხვა (исключеніе) და არას დროს არ ჰქონია საზოგადო მნიშვნელობა. მეექვსე კრებამ თავის მეექვსე მუხლით ფიცხლად აღკრძალა ყველა ამნაირი გამორიცხვა საზოგადო კანონიდგან.

ქ. უ.

გაგრძელება იქმნება.

თფილისიდგან.

დიდ-უბის ტაძრის კურთხევა.

23-ს ენკენისთვეს მოჰხდა კურთხევა დიდ-უბის ტაძრისა. ტაძრის კურთხევის მომზადებას შეუდგნენ 22-ს ენკენისთვიდგან. 23-ს დილიდგანვე დიდ-ძალი ხალხი გადაიყვანა ცხენის რკინის გზამ მუშტაიდს და დიდ-უბეს. „ქონკებში" ტევა აღარ იყო, იმდენი ხალხი მიდიოდა დიდ-უბისაკენ. 9 საათამდის, თითქმის, მთლად გაიმსო ტაძარი და მისი ვრცელი ეზო მლოცველი ხალხითა. ათს საათს 15 წამი უკლდა, რომ მობრძანდა მისი მაღალ ყდ. უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პავლე. ტაძარში შებრძანებისათანავე დაიწყეს საკურთხეველის კურთხევა. მთელი სამღვდელოთა კრებული ექსარხოსის მოთავეობით შეუდგა ტრაპეზის წმენდას და რეცხვას; შემდეგ მაღალ ყდ. სამღვდელომ აკურთხა ხატნი, ჯვარნი და სხვა წმიდა ჭურჭელნი, აგრეთვე თვით ტაძრის კედელნიც. ტაძრის კურთხევის შემდეგ ექსარხოსმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც მოკლედ და მჭევრ-მეტყველურად მოუთხრა მლოცველთა თავ-გადასავალი ამ ძველის ტაძრისა, რომელშიაც მშვენიერმა თამარმა ჯვარი დაიწერა და იკურთხა სამეფო გვირგვინი. სიტყვის შემდეგ დაიწყო წირვა, რომელიც გათავდა 1 საათზე.

ჩირვის შემდეგ ექსარხოსი მისი კრებულით და სხვა საპატიო პირნი ეკლესიის აღმშენებელ კომმისიის წევრთაგან (დეკან. იმნაძე, მღ. ზედგინიძე და აზნ. ბ. ქართველიშვილი) მიწვეულნი იქმნენ სადილზე, რომელიც გაგრძელდა 3 საადამდე.

ჩქვე მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს ამ ეკლესიაზე:

ჩრაევინ იცის, როდის აღშენდა ეს ეკლესია. ისტორიიდამ სჩანს, რომ იგი არსებობდა თამარ დედოფლის დროსაც. ბარემონი მისნი შეადგენდენ საჯარო მოედანს. აქვე იყო პატარა სოფელი დიდუბე, რომელიც გაუხრდა წარსულ საუკუნეში და დიდ-უბის ტაძარიც მაშინ დაზიანდა. მას შემდეგ მხოლოდ დღეს მოუხდა მას განახლება. წინად ეს ტაძარი იწოდებოდა დიდ-უბის ღვთის-მშობლის ტაძრად, ახლა შეიქმნა სახსრად „იერიის ღვთის-მშობლისა."

ეკლესია აშენებულია შერეულ ყაიდაზედ, ე. ი. ვერავინ იტყვის თუ რომელ სტილზეა იგი აშენებული. ბარეგანი შეხედულობით ეკლესია მშვენიერია, მაღალი, შიგნიდანაც საკმაოდ ვრცელია. მზო აქეს კარგა მოზრდილი. სხვა-და-სხვა პირთაგან ეკლესიისათვის შეწირულნი არიან: სახარება, ღირებული 250 მან., შემოწირული პ. ბვრიტიშვილისაგან, ზარი, შემოწირული თამარ ქართველიშვილისაგან, ღირებული 600 მან., რომელსაც დღედღეზედ მოელიან რუსეთიდგან.

ბიდუბეს ერთის მხრით ჩამოუდის მტკვარი, მეორეს მხრით რკინის გზა და აქვე წინანდელი სოფლის მაგიერ არსებობს, მალაკნების სოფელი. ამ ტაძრის მღვდლად განწესებულ არს მღვდელი ბ. ზედგინიძე.

X. X.

ვლადიკავკაზიდამ.

ამ წლის 16-ს სეკტემბერს ვლადიკავკაზში მოხდა შესანიშნავი დღეობა. ოსეთის დივიზია 1877 და 1878 წლების დუნაის მხრისკენ ომში თავის მამაცობის გამოჩენისათვის ღირსი გახდა დიდი ჯილდოს მიღებისა. ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ უბოძა მასს წმიდა გიორგის ბაირახი სამუდამოთ. ეს ბაირახი ამ დრომდის არ ყოფილა ნაკურთხი ზოგიერთ მიზეზთა გამო; მაგრამ ამ წელს უმაღლესმა მთავრობამ კეთილ ინება ბაირახის, წესისა მებრ, კურთხევა. ამ დღეს მთელმა ვლადიკავკაზის ოლქის ოსეთმა, ე. ი. ორმოცდა ცამეტმა სამრევლომ თავი მოიყარა; აგრეთვე შეიკრიბა ოსეთის ჯარი, რომელიც დუნაისკენ ომში იღებდა მონაწილეობას 1877 და 1878 წლებში. მათ ბაირახის კურთხევის დროს მოიწვიეს მრავალნი პატიოსანნი და უმფროსნი პირნი.

ბაირახის კურთხევის დროს ამიდიც კარგი იყო. დანიშნულს ადგილს მოიყარეს თავი ყველამ. ამ დროს აქვე საზაფხულოთ იდგნენ ცხენოსანი და ყაზახის ჯარები. ჯარით მთელი დიდი მინდორი მოფენილი იყო. ოსეთის ცხენოსანი დივიზია, თავის ჩეულებისამებრ, დამწკრივებული იყო და ელოდა ჯარის უმფროსის მობრძანებას; როცა უმფროსი მობრძანდა, მან ჩამოუარა ჯარს და ისურვა მათთვის მშვიდობა. ჯარმა წესისა მებრ გასცა მასს პასუხი. ამის შემდეგ ბლაღოჩინმა მღვდელმა მიხეილ სუხიევმა ოსურ ენაზე წარმოსთქვა შემდეგი შესხმა, რომელიც მიახლოვებით აქვე მოგვყავს: „დღეის დღე ჩვენი ხალხისათვის (ირონ ადამან), ოსებისთვის დიდი შესანიშნავი დღეა: ჩვენ დღეს შევიკრიბენით, რათა მადლობა შევსწიროთ იმერთსა და უმაღლესად ბოძებული ბაირახი ვაკურთხოთ. ამისთვის მე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ თქვენ, პატივცემულნო მხედარნო! ჩვენ ყოველთვის ვალდებულნი ვართ, რათა ხელმწიფეს და მამულს თავი შევსწიროთ და მზათ ვიყვნეთ ყოველთვის მამულის სამსახურისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესეთი დახმარება მოითხოვება ჩვენგან. იყო დრო, როდესაც საერთო და საზოგადო მამულის, რუსეთისათვის საჭირო იყო ყველა ხალხის დახმარება. რუსეთის ხელმწიფის ხმამ ჩვენამდინაც მოაწია. ჩვენი ხალხი, როგორც ყოველთვის ერთგულნი რუსეთის ტახტისა, შეიკრიბა წასასვლელად იქ, სადაც უბრძანებდნენ წასვლას. ზოგმა დასტოვა თვისი მოხუცებულნი მშობელნი, ზოგმა — თავიანთი ცოლ-შვილნი და განემზადა წასასვლელად შორს ადგილს, იქ, სადაც თათრები ღვრიდენ ქრისტიან ხალხთა სისხლსა. აქ ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა მამულის შვილობა, მათ არ დაზოგეს თავისი თავი ხელმწიფის და მამულისათვის და დაუმტკიცეს მართებლობას, რომ ისინი ერთგულნი არიან რუსეთის ხელმწიფისა და მამულისა. ხელმწიფე იმპერატორმა თვით იხილა მათი მამაცობა ჩხუბის ველზე და მისთვისაც სხვა წარჩინებისა და მოწყალებითი საჩუქრების გარდა უბოძა მათ წმიდა ბიორგის ბაირახი, რომელიც აი დღეს ეკურთხება მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წესისამებრ და გებოძებათ თქვენ. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა ოსეთის დივიზიონის დაჯილდოება წმიდა ბიორგის ბაირახით თათრებთან ომში მამაცობის გამოჩენისათვის. ეს არის მიზეზი ჩვენი შეკრებისა და მადლობის შეწირვისა. მისი უდიდებულესობის მანიფესტში არის მოხსენებული: „გიბრძანებთ აკურთხოთ რა ეს ბოძებული ბაირახი ეკკლესიური წესისამებრ და იხმარებდეთ ჩვენდა და მამულის სამსახურზე სარწმუნოებით და გულს მოდგინებით, როგორც რუსეთის მხედრობას შეფერის. ჩვენ ვალდებულნი ვართ თქვენთანა და თქვენის გულისათვის ვილოცოთ წინაშე მეფეთა მეფისა მღვთისა, რათა მან კეთილი მისცეს ჩვენი რუსეთის მეფეს ალექსანდრე ალექსანდრეს ძესა; რათა მისცეს მასს იმერთმან გამარჯვება მის წინააღმდეგთა მტერთა ზედა.

ყოველივეღროთ იმერთსა, რათა მის მართველობას იმერთმან მიანიჭოს სიბრძნე, სიმართლე, რათა მათ დაიპყრან მტერნი და მბრძოლნი მათნი; რათა ზეციდამ მოვლინებული იყოს ძალა ასასრულებლად სიმართლისა; ძალა და შეძლება მეფობისა მოენიჭოს ხელმწიფე იმპერატორსა მრავალ ჟამიერ; რათა გაჭირვების ჟამსა შეისმინოს იმერთმან მისი ვედრება და დაიფაროს იგი ბოროტისაგან; მისცეს მასს იმერთმან და მოანიჭოს კეთილის გულის განზრახულობა და ყოველი კეთილი აუსრულოს. მაღალმა იმერთმა შეაძლებინოს მის ლაშქარს ძლევა და დამარცხება მტრისა. ხოლო თქვენ იმერთმან მარადღეს მოგანიჭოსთ სიმხნე და მამაცობა ერთგულად მსახურებისა ხელმწიფე იმპერატორისა, მამულისა და სარწმუნოებისათვის.“

ყემდეგ ფიცის მიღებისა დაიწყო წესი ბაირახის კურთხევისა. როცა ბაირახის კურთხევა გათავდა, ყველა დამსწრე და მოწვეულნი პირნი მიპატიჟებული იყვნენ საზოგადოებისაგან გამართულ სადილზე. სადილზე მრავალი სადღეგრძელოები წარმოითქვა. ნასადილევს გაიმართა დოღი და შეიქნა ჯირითობა ცხენებით და დჯგითობა. ყმაწვილი მხედრები გასაოცარ მამაცობას და ვარჯიშობას იჩენდნენ ცხენების ჭენების დროს. ეს დღე ჩვენ ოსეთში სწორეთ შესანიშნავ დღეთ დარჩება საუკუნოდ.

მღ. მ. ხეთაგუროვი.

სვანების ცხოვრებიდამ.

სვანეთში კარგი ჰაერის წყალობით დიდ-ხანს ცოცხლობს კაცი; იქ ნახავთ ას-სამოცი წლის კაცებსა. სვანეთის ერთი პრისტავის თარჯიმნის ვლადიმერ ცალონის დედა, თითქმის ორას წლამდე ცხოვრებდა. საკვირველი სანახავი იყო ეს დედა-კაცი: სხეული მთლად დამჭკნარი ჰქონდა; მოძრაობა აღარ შეეძლო; ციხეში, მორაგულ ჩელტზე დაწვენილი, მაღლა ეკიდა. მხედ-

ველობა, აზრი და მეტყველება შეუცვლელი ჰქონდა. პატარა ყმაწვილივით მას ხელით აჭმევდნენ და ასმევდნენ. სვანეთში, როცა ვინმე მოკვდება, მოპატიჟება არ იციან. ხალხი მოუპატიჟებლად მოვა მიცვალებულის გასასვენებლად. როცა ხალხი შეიკრიბება მიცვალებულის სახლში, ყველა თავ მოხდილი დაიარება. მასვენების დღეს ერთ მხარეზე კაცები ჩამწკრივდებიან და მეორე მხარეზე ქალები. როგორც კაცები, ისე ქალები თვის შორის ამოირჩევენ უხუცესს; უხუცესი კაცი დადგება მამა-კაცების წყების თავში და უხუცესი ქალი—ქალების წყების თავში. პირველად კაცების მხრით ამორჩეული უხუცესი მოჰყვება მოსათვალავით მიცვალებულის ცხოვრების აღწერას და მდგომარეობას; სხვანი კი გაჩუმებულნი არიან. როცა ეს უხუცესი დაასრულებს მოთქმას, მაშინ ყველანი ხელს ჩამოიკვრენ პირის სახეზე და ერთხმათ იტყვიან: „ი—ი—ივაი“, შემდეგ გაჩერდებიან. ამ მოთქმას რამდენჯელმე გაიმეორებს უხუცესი და სხვანი იმეორებენ: „ი—ი—ივაი.“ როცა მოთქმას გაათავებს კაცების მხრით ამორჩეული უხუცესი, მერე იწყებს მოთქმას ქალების მხრით აღმორჩეული უხუცესი. ყველა ქალები ამ დროს მორთულნი არიან შემდეგი სახით: ტანზე აცვიათ პერანგი და ზედ ქულაჯა აქვსთ ჩაცმული; კისერზე ჰკიდიათ ეყვნები, ძივები და ღინჭილები. ძალების მხრით ამორჩეული უხუცესი იმნაირივე სახით იწყებს მოთქმას, როგორც უხუცესი კაცი და სხვა ქალები იძახიან: „ი—ი—ივაი“. ამის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ ეკლესიაზე, მაგრამ გზაზე, რაც შეიძლება, მალე მიარბენიებენ. როცა მიცვალებულს დაასაფლავებენ, ყველანი ბრუნდებიან მიცვალებულის სახლში; აქ ყველანი დაჯდებიან პურის საჭმელათ. მოიტანებენ არაყით სავსე ბოჭკებს, რომელთაც ყველანი დაეწაფებიან; არაყს სმენ მანობამდე, სანამ კაცნი და ქალნი არ დაითრობიან. მერე დამთვრალს ხალხს შეექნებათ ჩურჩული, გაყოლ-გამოყოლა ქალებთან და, შეიძლება, მიცვალებულს თან მიაყოლონ ორი-სამი სხვა მიცვალებული თოფის სროლით. მეორე დილას, ძალიან ადრე, ეს პირნი შეიკრიბებიან მიცვალებულის საფლავზე. ყველა კაცს და ქალს მოაქვს თითო შეკვრა ფირჩხი. ამ მოტანილ ფირჩხს დააწყობენ ერთ ადგილს; მოუკიდებენ ცეცხლს; შემოუსხდებიან გარშემო და მოთქმენ, სანამდე ცეცხლი არ ჩანელდება. როგორც ძველ მიცვალებულის საფლავზე, აგრეთვე ახლებისაზედაც იციან ცეცხლის ანთება. სასაფლაოებზე ანთებენ ცეცხლს: დიდი შაფათის საღამოს, შობის წინა დღით საღამოს და 14 აგვისტოს საღამოს. თუ ვინმე გარეშე სოფლისა ან მგზავრობაში ან ნადირობის დროს გადაიცვალა, მასს მოძებნიან, მიცვალებულის გვამს მოასვენებენ ეკლესიაზე და დაასაფლავებენ იმავე წესით, როგორც ასაფლავებენ სოფლებში გადაცვალებულებს. სამი დღის შემდეგ მიცვალებულის დასაფლავებისა, ხალხი მიდის იმ ადგილს, საცა მოჰკვდა კაცი. ხალხს თან მიჰყვება „მღვდელ-პაპა“ ჭიანურით და ცოცხალი მამალი მიჰყავს თან. ხალხი თავიანთი „მღვდელ-პაპით“ მიდიან ვითომ მიცვალებულის სულის წამოსაყვანათ. შკან რომ დაბრუნდებიან, „პაპა უკრავს ჭიანურს და აფათქუნებს მამალს. გზაზე თუ მდინარე დახვდათ, „პაპა“ იქ აჩქარებს ჭიანურის კვრას და მამალსაც აყვირებს, რომ მიცვალებულის სული მდინარის ხმაურობას არ გაერთოს და არ დაიკარგოს. როცა სოფელს მოუახლოვდებიან, მათ შეეგებება ხალხი წინ და იძახიან: „ი—ი—ივაი“.

ჩიცვალებულის დამარხვაზე თუ ავდრიანი ამიდი დადგა, ამას მიცვალებულს დააბრალებენ; მიცვალებულს მოთხრიან საფლავიდგან, წაიღებენ და დასდგმენ ციხის დერეფანში. აქ მიცვალებული ასვენია, სანამ კარგად არ გამოიდარებს. შემდეგ გამოდარებისა ამოღებულ მიცვალებულს ისევ დამარხვენ. თუ დიდი გვალვა დადგა, მოჰკვლენ კატას და დაასაფლავებენ ეკლესიის გალავანში იმ განზრახვით, რომ ᲘᲛერთი გაჯავრდება და წვიმა მოვავო. სვანებს ჰყავთ თავის ცრუ მღვდლები, რომელთაც „პაპებს“ ეძახიან. ამ პაპებს დიდი გავლენა აქვსთ ხალხზე. სვანეთში ბევრი გაუქმებული ეკლესიები არიან, რომელნიც სავსენი არიან ძვირფასი დიდროანი ხატებით, ჯვრებით და სხვა საეკლესიო ნივთებით. ამ ეკლესიებში შევლენ „პაპები“ თოფ-იარაღით და თავისებურად წირვენ. მათი წირვა აი როგორ სრულდება: „პაპა“ დადგამს ტრაპეზზე არაყით სავსე კათხას ბარძიმის და ფეშხუმის მაგიერ; ჯამით დადებენ ტრაპეზზე ერთ დიდ ხაჭაპურს, საქონლის გულსა და ღვიძლსა, თოფ-იარაღს კედელზე აყუდებენ, ორარის მაგიერ კისერზე დაიკიდებენ რაიმე ძველ ჭინჭებს, ჩამოაწვებიან კაპიან ჯოხებზე და დაიწყებენ საღმრთო წერილის კითხვას. ბევრი მათგანი ჰკითხულობს საღმრთო წერილს და თავისებური ტიბიკონიც იცის. ძითხულობენ დიდის ხმით და გაუგებლად: „მღვდელმა ასამღლებელიო, რამეთუ შენიაო, სუფევეაო, ძალიო და დიდებაო; დიაკონმა უფალო შეგვიწყალეო“ და სხვა. უაზრო კითხვას რომ დასრულებენ, შემდეგ შუაგულ ეკლესიაში დაამთებენ ცეცხლს, შეწვენ საქონლის ღვირძლს, ჭამენ

და სმენ არაყს. ეს ძვირფასნი ოქრო-ვეცხლით შემკულნი ხატნი გაშავებულნი არიან კომლით.

ხვანეთში წინეთ იყო ერთი შემაძრუწუნებელი ჩვეულება: თუ რომელიმე სვანს ბევრი შვილები ეყოლებოდა, მაშინ ზოგიერთს შვილს დაბადებისათანავე მოახრჩობდა. ნამეტურ ახრჩობდნენ მდედრის სქესისას.

ეხლა სვანეთში, მადლობა ღმერთს, ამისთანა ცუდი ჩვეულებანი შემცირებულნი არიან. ამ ჩვეულებების შემცირებაში კაი ღვაწლი მიუძღვის სვანეთის ბლაღოჩინს დეკანოზს მ. ი. ვაცაძეს და სხვა სამღვდელო პირთა, რომელნიც დიდი პატივის ცემის ღირსნი არიან. მ. დეკანოზის ი. ვაცაძის მეცადინეობით „პაპების" ხალხზე გაელენაც შემცირდა; „პაპები" ეხლა უწინდებურათ ვერ მოქმედობენ, მაგრამ მალულათ ეხლაც ასრულებიებენ ხალხს ზოგიერთ ცრუ-მორწმუნეებას. ამის დამწერი ძლიერ ვეწინააღმდეგებოდი პაპების ამისთანა მოქმედებას და კინალამ ერთ დროს პაპების მსხვერპლი შევიქენი. ამ შემთხვევას ერთს თავის ეპარხიულ ანგარიშში იხსენიებს ქოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ბაბრიელიც.

მღვდელი ა. არდიშვილი.

სასარგებლო დარიგებანი და სწავლანი მოძღვრისა საეკლესიოთათვის.

(მეორე საუბარი),

ყოველად შემძლებელმა ღმერთმა, რომელმაც თავის სიტყვით შექმნა ყოველივე არა რაისაგან, თვისი ქმნილება დააგვირგვინა პირველი კაცების ადამის და ევის შექმნით; პირველი კაცებისაგან წარმოსდგა მთელი კაცობრიობა, მცხოვრები დედა-მიწაზე. ჩვენს დროში დედა-მიწაზე ითვლება ათასსამას-სამოცი მილიონამდე კაცი. ეს რიცხვი ნამდვილი არ არის, რადგან მცხოვრებლების რიცხვი დედა-მიწაზე უმეტესი უნდა იყოს. დედა-მიწაზედ ზოგიერთს ქვეყნის ნაწილებში, როგორც მაგალითებ: აფრიკაში, ამერიკაში და ავსტრალიაში, ალაგ-ალაგ სცხოვრებენ ველური ხალხი და ამ ხალხლის ნამდვილად აღრიცხვა არ შეიძლება; არ შეიძლება მათი ნამდვილად აღწერა, რადგან დაინახვენ თუ არა მოგზაურ ევროპიელებს, რომლებიც ეხლა განათლებით წინა დგანან სხვა ხალხებზე, ისინი მაშინვე გაიფანტებიან თვალ-გადუწვდენელ მინდვრებში და შეუვალ ტყეებში, ანუ იარაღით შეელაშქრებიან მათ. აგრეთვე უნდა გითხრათ, რომ ბევრი ქვეყნებია კიდევ, სადაც ნასწავლ კაცებს სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დღესაც ვერ შეუტანებიათ. ეჭვი არ არის, რომ ეს მხარეები ხალხით დასახლებულნი უნდა იყვნენ, მაგრამ ამ ხალხის რაოდენობა, რასაკვირველია, ნამდვილად არ ვიცით.

ჩვენ დროში შეტყობილია მხოლოდ იმ ხალხთა რიცხვი, რომელნიც ერთ ადგილს არიან დასახლებულნი და შეადგენენ სახელმწიფოებს. ხოლო იმ ხალხების აღწერა, რომელნიც ცხოვრებენ ცივ და ძალიან ცხელ ქვეყნებში, მინდვრებში და ტყეებში, მეტად ძნელია.

ოფრო დასახლებული და განათლებული ნაწილი დედა-მიწის ზურგზედ არის ევროპა, რომელსაც დედა-მიწაზე მეტად ცოტა ადგილი უკავია, ვინემ სხვა დედა-მიწის ნაწილებს გარდა ავსტრალიისა.

ედა-მიწაზე ყველაზე უფრო დიდი სახელმწიფო არის რუსეთი, რომელიც ადგილის სივრცით და მცხოვრებლების რიცხვით უდიდესია ყველა ევროპის სახელმწიფოებზე; რუსეთს უკავია ასი-ათასი ოთხ-კუთხიანი მილი (მილი შვიდი ვერსტია), რომელსაც დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებს: ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ავსტრიას, სათათრეთს, იტალიას, ისპანიას, საბერძნეთს და სხვათა უჭირავსთ სამოცდა ათი მილიონი ოთხ-კუთხიანი მილი მიწის სივრცე. და მცხოვრებლების რიცხვი ყველა ამ სახელმწიფოებში უფრო მცირეა, ვინემ ერთ მარტო რუსეთში.

ველა ქრისტიანების რიცხვი დედა-მიწაზე იქნება სამას ოთხმოცდა შვიდი მილიონი. ამ რიცხვში ჩვენს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს ას მილიონამდე სული. ერთი ღმერთის თაყვანისმცემელნი არიან ცხრაას სამოცდა ათი მილიონი; კერპთ-თაყვანის მცემლები ოთხას ოთხმოცდა ხუთ მილიონამდე იქნებიან. აქედამ ხედავთ თქვეთ, რომ დედა-მიწაზე ყველა აღმსარებლებზე უფრო ბევრნი არიან კერპთ-თაყვანის მცემელნი; ე. ი. უფრო მეტია ის ხალხი, რომელიც ჭეშმარიტი ღმერთის მაგიერ სცემენ თაყვანს: მზეს, მთვარეს, ქუხილს, ელვას, ცეცხლს, სხვა-და-სხვა ცხოველებს და კერპებს. ეხლა, ამ ჩვენ დროში, ყველა ევროპის განათლებული და ქრისტიან სახელმწიფოებს და მათ რიცხვში რუსეთიც, ყოველ ღონის-ძიებით მეცადინობენ, რომ თავისი განათლებული მქადაგებლების საშუალებით გაავრცელონ მთელს დედა-მიწაზე ქრისტეს სარწმუ-

ნოება. მოგვასწრებს ღმერთი იმ დროს, როდესაც მთელი მცხოვრებნი დედა-მიწისა განათლდებიან ქრისტეს სწავლით და მაშინ იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი, როგორც ბრძანებს თვით იესო ქრისტე.

ამასთანავე, ჩემის აზრით, თქვენთვის სასიამოვნო იქნება შეგატყობინოთ დაახლოებით, თუ რამდენი სული იბადება ყოველ წლობით დედა-მიწაზე და რამდენი კვდება. საშუალო რიცხვით, კაცი ოცცხლობს ქვეყანაზე ოცდა ცამეტ წელიწადს და ექვს თვეს. მეოთხედი ნაწილი ხალხისა ჰკვდება შვიდ წლამდე; ნახევარი ნაწილი ხალხისა ჰკვდება, სანამ ჩვიდმეტი წლის შეიქნებოდეს. ას კაცში მხოლოთ ექვსი ცხოვრებს სამოცდა ხუთ წლამდე; ხუთას კაცში მხოლოდ ერთი ცხოვრობს ოთხმოც წლამდე და ათას კაცში მხოლოდ ერთი ცოცხლობს ას წლამდე. არიან ეხლაც ბევრნი მოხუცებულნი პირნი, რომელთაც ას ოცი წელი შესრულებიათ დაბადებიდგან, მაგრამ კარგათ ხედვენ და აზრიანათ ლაპარაკობენ.

ყოველ წლობით დედა-მიწაზე ჰკვდება ოცდა ცამეტ მილიონამდე სული, ე. ი. დღეში ჰკვდება ოთხმოც ათასამდე სული და ყოველ საათში სამი ათას რვაასი, ე. ი. მინუტში სამოც კაცზე მეტი ჰკვდება და ყოველ წამში თითო კაცი.

ყოველ წლობით დედა-მიწაზე იბადება ოთხი ათას ას ათი მილიონი კაცი, ასე რომ ყოველ წლობით რვაასი მილიონით მეტი იბადება, ვინემ ჰკვდება. აქედამ ცხადათ ხედავთ თქვენ, რომ ხშირი ომები რომ არ ხდებოდენ და სხვა-და-სხვა გადამდები ავათ-მყოფობა ყოველ წლობით არ ჩნდებოდეს და მილიონობით არ ხოცავდეს ხალხს, მაშინ ძალიან შესაძლებელი იყო, რომ დედა-მიწაზე ცოტა დარჩენილიყო დაუსახლებელი და გავერაგნებული მხარეები. ფრეულს საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქებში და დღესაც იტალიაში მძვინარებს ხოლერა, რომელიც ამ ალაგებში, საშუალო რიცხვით რომ ვსთქვათ, ას ორმოც კაცამდე ჰკლავს დღეში.

ეგრეთვე შეგატყობინებთ, ჩემო მეგობარნო, თუ როგორ დაესახლა ხალხი ქვეყანაზე და როგორი წესი აქვსთ მართველობისა.

ციოეული ხალხი თავის სარწმუნოების და ენის მიხედვით შეადგენს საკუთარს სახელმწიფოს. სახელმწიფოს ჰმართავს ერთი ანუ რამდენიმე პირნი, რომელთაც მოვალეობას შეადგენს, რათა მათ მართონ ხალხი, დაიცვან სახელმწიფოში წესი და დაიფარონ ხალხი შინაური და გარეშე მტერთაგან. ამორჩეული პირი სახელმწიფოში სცემს კანონებს, ადებს ხალხს გადასახადს, რომელიც იხარჯება ჯარის და შკოლების შესანახავად და გზების გასაკეთებლად და სხვათა მრავალთა სასარგებლო დაწესებულებათა შესანახავად; ერთი სიტყვით, ამ პირების მოვალეობას შეადგენს, რათა მათ იზრუნონ თვისდამი რწმუნებულის მხარის და ხალხის სიმდიდრეზე და ბედნიერებაზე.

ბედა-მიწაზე სხვა-და-სხვა ხალხს სხვა-და-სხვა მართველობის და უმფროსობის წესები აქვსთ. რუსეთის სახელმწიფოში ყოველივე საქმეს განაგებს ხელმწიფე იმპერატორი. უამისოთ არ შეიძლება გამოიცეს რამე კანონი, ანუ რამე განკარგულება მოხდეს. რადგან რუსეთის იმპერატორი თვით-მპყრობელია, ამიტომ რუსეთის სახელმწიფო იწოდება მონარხიულად—შემოუსაზღვრელად. ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში, როგორც ინგლისში და გერმანიაში, ხელმწიფის უფლება შემოსაზღვრულია. ამ სახელმწიფოში ხალხი ირჩევს თავიანთ წარმომადგენელებს ანუ დეპუტატებს, რომელნიც ხელმწიფესთან ერთად მართვენ ხალხს. ამისთანა სახელმწიფოებში ხელმწიფეს ხალხისაგან ამორჩეული დეპუტატების დაუკითხავად არ შეუძლია სახელმწიფოში არაფერი კანონის და განკარგულების მოხდენა. ამისთანა მართველობის წესს ჰქვიან მონარხიული — შემოსაზღვრული ფორმა მართველობისა. ზოგიერთ სახელმწიფოებში, როგორც საფრანგეთში და ამერიკაში, თვითონ ხალხი მართავს სახელმწიფოს. ამისთანა ადგილებში თვითონ ხალხს ჰყავს თვის შორის ამორჩეულნი პირნი, რომლებიც შემდეგ თავიანთ შორის ირჩევენ თავს-მჯდომარეს, რომ მან თვალ-ყური ადევნოს, რათა ყოველივე ხალხისაგან ამორჩეული კაცების გარდაწყვეტილება სისრულეში მოვიდეს და ყველა დაემორჩილოს მათ გარდაწყვეტილებას. ამისთანა მართველობის წესს ჰქვია რესპუბლიკური მართველობა.

ესეთი წესები მართველობისა, რომელნიც ზევით მოვიხსენიეთ, სუფევენ ყოველ განათლებულ ხალხში და სახელმწიფოებში. იმ ხალხს, რომელიც ერთ ადგილს არ არის დასახლებული, არამედ, როგორც ბოშები (ციგნები), მოგზაურობენ დედა-მიწის ზურგზე, სულ სხვა წესი აქვთ მმართველობისა. ამ ხალხების მმართველობის წესები ძველებურია. ციოეულ შთამამავლობას ჰყავს თავისი წინამძღვრები, ანუ უხუცესი კაცები, რომელნიც განაგებენ ხალხის საქმეს. აქედამ ის გამოდის, რომ რამდენათაც რომელიმე ხალხი უფრო განათლებულია, იმდენად უფრო კარგი მართველობის წესი აქვს და კაი მმართველებიც ჰყავს.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

XIII.

ჩამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ჰყვანდნენ ისეთნი მეფენი, რომელთაც ქვეყნისათვის და ქრისტიანობისათვის ზრუნვა არ ეხალისებოდათ. ეს იყო მიზეზი, რომ ხალხის მოძღვარნი და მსახურნი მოკლებულნი მეფეთ წყალობას და მფარველობას, ზნეობითად დაეცნენ და შეიქმნენ ანგაარ ვეცხლ-მოყვარენი. საუბედუროთ, ამავე დროს საქართველოს აღმოუჩნდნენ ახალნი მტერნი—მონგოლნი, რომელთაც ჩინგის-ყაენის წინამძღოლობით დაიპყრეს, თითქმის, მთელი აზია, რუსეთი და მოადგნენ საქართველოსაც. პატარა ერი თუმცა მამაცურად შეებრძოლა გუნდსა მტრისასა, მაგრამ მისის სიმრავლისაგან იძლია და შეიხიზნა კავკასიონის მთის კალთებ-ღელეებში. მტერმა გადასწვა და პირქვე დასცა ჩვენი ქვეყანა. აღარც ერთი ტაძარი, აღარც ერთი შენობა ცოცხალი აღარ გაუშვა. თვით დიდებული მცხეთის სამთავრო ტაძარისაგან დარჩა მხოლოდ მისი საძირკველი. პატივის-ცემისათვის საკვირველის და დიდად ქებულის წმ. ნინოსი დაუნგრეველ-გაუოხრებელად დასტოვეს მხოლოდ ბოდბის ტაძარი წმ. ბიორგისა ნინოს საფლავზე, მაგრამ ისიც არა უვნებელად. ვინც კი ქრისტიანნი ხელთ იგდეს, თავები დასჭრეს და მათგან ააგეს სამკუთხიანნი გოდოლნი. ამისთანა სამწუხარო და საეალალო დროს, როდესაც „ჩემთვის ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, ჩემთვის ჰზრახვიდეს ბოროტსა“ (ფსალმ. 40—7), მეფე რუსუდანის შემდეგ საქართველო გაიყო ორ სამეფოდ, იმერეთისა და ქართლისა; მალე დროში იმერეთის სამეფო განაწილდა შემდეგ დამოუკიდებელ სამთავროებად: ოდიშისა (სამეგრელო), ბურიისა, აფხაზეთისა, სვანეთისა და ჯიქეთისა. ამ მოვლენისაგან ყაბარდოში, ჯიქეთში, ოსეთში და აფხაზეთში სრულიად მოისპო ქრისტიანობა, რომელსაც უფრო მწარე დღენი დაადგა შემდეგში, როდესაც ბრძოლის სარბიელზე აღმოჩნდა საშინელი თემურა ანუ თემურ-ლენგი, მონგოლთა წინამძღოლი.

ოდესაც მონგოლნი შუა-გულ აზიიდამ შემოებრძოლნენ სპარსელებს და სხ., მაშინ ვერ შემძლებელმან ჯელადდინ, სპარსთა მეფემან წინა-დადგომად ჩინგიზისა, ვითარ ძლეულმან მისმან, ელტოლვა კმეულ-ჰყო სპითა დიდითა, დედა-წულითურთ და მგზავრ მოსრულმან სომხეთსა შინა, აღაოხრა ყოველი მხედრობაი სომხეთისა.“ *) მაშინ დედოფალმან რუსუდან წარგზავნა მაშველი ჯარი იოანე და მისი ძმის შალვა ახალციხელების წინამძღოლობით, მაგრამ ჩვენი ჯარი იძლია და თვით შალვა დატყვევებულ იქმნა. რამდენიმე წელიწადს შალვამ ტყვეობაში დიდი ტანჯვა და წვალება გამოიარა. მტერნი სცდილობდნენ, რომ მას დაეტევა სჯული ქრისტესი და მიეღო მაჰმადიანობა, მაგრამ ყოველი მათი მეცადინეობა ამაოდ დარჩა. მაშინ მოწამესა ჭეშმარიტებისა „ჰგვემდეს უწყალოდ მყოვოვარ; მერმეღა საპყრობილესა შინა შეიყენა და პირად-პირადითა მძვინვარითა ტანჯვითა განცდილმან აღასრულა სრბაჲ მარტვილობითი (1227 წელს). შალვა ჩვენი ეკკლესიისაგან შერაცხილია წმიდანად. **) იმავე ჯელადდინისაგან წამებულ იქმნენ ათნი—ბევრნი***) მოწამენი თბილისსა შინა. ****) 1289 წ. ქრისტესთვის ეწამა არღუნისაგან ხალხის საყვარელი მეფე დიმიტრი თავდადებული.

ჩვით თემურ-ლენგი შვიდ-გზის შემოვიდა ჩვენ ქვეყანაშა და რაც დაშთენილი იყო წინანდელი აოხრების შემდეგ და, რაც ხელ-ახლა აღორძინებულიყო, ყველა გააოხრა და გაანადგურა. „შვიდ-გზის მიიღო ქართლმან (საქართველომ) ენებაჲ მისგან (თემურისგან) მახვილისა მიერ ტყვეობისა და ცეცხლისა და შენობითთა საფუძველთა აღმოყრისა.“

---

*) ჩვენი ისტორიის თანახმად ბურგუნდიის ღვთის-მეტყველი ვინცენცი, რომელმაც 1252 წ. მოიმგზავრა საქართველო და მცირე აზია, ჰმოწმობს, რომელ ამ დროს სპარსელნი საქართველოსაც აოხრებდენ.

**) ანტონ კათოლიკოზისაგან თქმული იამბიკო შალვაზედ:
„შალვა განმმხედრი, უხორცოთა მტერთა;
სიმხნით აღადგენს, ბრძოლათა მრავალ-ფერთა;
მოიღებს ძლევათ ღუთისადმი და საჭერთა;
ეგ სახედ ჯილდოს, ანგელთ საჭვრეტ-სამზერთა;
სისხლით ზიარ-ქმნილ, ქრისტესი შესაფერთა.“

***) იმისაგანვე თქმული ათთა-ბევრთა მოწამეთა ზედა:
„მარტჯრთა შენთა რისხჯ ას გზის ათასი;
აღმოჰსჭვირს შენი სასმელი რა მათ ასვი;
მიიღეს სურვილით იგი სასმისათ თასი,
სადა ფის ფერად, ჭსპეტეს ფერ სათასი,
ერთად მოიგეს, სამეფოჲ ცათასი.“

****) ჯელადმა სომხეთში გასწყვიტა, თითქმის, ყველა მცხოვრებნი, მერმე შემოვიდა თბილისში და გაწყვიტა ასი-ათასი ქრისტიანე. ავლაბრის ხიდზე გადმოჭკიდა სიონის ღვთისმშობლის ხატი; რომელი ქრისტიანიც მას არ შეაფურთხებდა და არ ჭგმობდა, იმას ხიდიდან წყალში—მტკვარში ჰყრიდა. ქრისტიანი სისხლი, ისტორიის მოწმობით, ქუჩებს რუებრ სდიოდა. აღარც ერთი სახლი დაუზიანებელი არ გაუშვა. თვით სიონის სობოროს გუმბათი ძირს ჩამოაგდო.

ერთი შემოსევის დროს თემურმა ერთ დასტა თვისის ჯარისას უბრძანა გაეოხრებინა მონასტერნი და შენობანი, თუ კიდევ დაშთენილ იყვნენ სადმე მიყრუებულ ადგილებში. ამ დასტამ მიაგნო ქვაბთა-ხევის ღვთის-მშობლის მონასტერს, რომელშიაც მტრის შიშისა-გამო ჩაკეტილ იყვნენ: „გარემო მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურთაგანნი და მღვდელნი და დიაკონნი და თვით მონასტრისა მის ძმანი.“ მტრის სიმრავლემ შეამტვრია კარები მონასტრისა, რომელიც ჯერ გაცარცვა სრულიად და მერმე კარები ჩაუკეტა და გადასწვა შიგ მომწყვდეული ხალხითურთ *).

ესრეთი სოფლის ღელვა, სპარსელთა, თურქთა მანგოლთა შემოსევა იყო მიზეზი, რომ დედოფალი რუსუდანი 1239 წელს მიიქცა მძლავრის რომის პაპა გრიგორი მე IX-დმი და სთხოვა შემწეობა. პაპამ შემწეობის მაგიერად გამოგზავნა საქართველოში 7 ბერი ძმათა მქადაგებელთა გუნდისა (fratres praedicatores), რომელთაც მთელი ქართველთა ერი, პაპის ფიქრით, უნდა დაემორჩილებინათ რომის წმიდა ტახტისათვის. ამნაირივე ჰაზრი გამოხატულ იყო პაპის წერილში ჩვენი დედოფლისადმი. მაგრამ რუსუდანმა გრიგორისაც ისეთივე ცივი უარი განუცხადა, როგორიც მის ყოფილ მოადგილეს ონორიოს III-ს, რომელიც აგრეთვე სცდილობდა ქართველთ გაფრანგებას.

1289 წ. პაპა ნიკოლოოზ მე IV-მ კიდევ გამოგზავნა საქართველოში სჯულის მოძღვარნი—ფრანგნი **), რომელნიც მეგობრულად მიიღო ჩვენმა მეფემ ვახტანგ II და ნება დართო თბილისში დაეარსებინათ საკუთარი საეპისკოპოსო. წინამძღვარი ძმათა მქადაგებელთა იყო ფლორენტინის ეპისკოპოსი იოანე.

გიორგი ბრწყინვალის გამეფებიდამ (1318 წ.) საქართველომ ცოტა შეისვენა გარეშე მტერთა შემოსევისაგან. მიზეზი იყო ბრძენი მეფე ზიორგი, რომელმაც მთელი საქართველო ხელ-ახლა შეაერთა, მრავალგან დაამარცხა და განდევნა მტრები და გახდა მეფედ სრულიად საქართველოისა, რომელსაც გაშენება დაუწყო. მის შემწეობით მკვირცხლთა და გონიერთა ქართველთა მალე დროში კიდევ ააგეს ტაძარ-მონასტერნი, ციხე-გალავანნი, ქალაქნი, სოფელნი, დასთესეს მინდორ-ველნი და მოაშენეს ვენახნი. თვით მეფე სცდილობდა ხალხის დაცემულ ზნეობის ამაღლება-გაუმჯობესებას. მანვე მთიულთათვის შეადგინა საერო კანონნი.

ოკანასკნელი შემოსევა თემურ-ლენგისა მოჰხდა 1395—1400 წწ., რომელიც გათავდა ქართველთა და მონგოლთ შერიგებით *). ამის მიზეზი უფრო იყო ისა, რომ მონგოლთ აღუჩნდათ საშინელი მტერი—ბაიაზედი, რომლის დასამარცხებელად მონგოლნი გაეშურნენ მცირე აზიისკენ.

1389 წ.—1445 წ. ქართველთა მეფენი, როგორც მხედარნი ქრისტესნი გულ-მოდგინებით ებრძოდენ მტერთა ქრისტესთა და სცდილობდნენ ეკკლესიის აღორძინებას. ამიტომ ქათოლიკოსებთან ერთად მეფენი: ზიორგი VII, კოსტანტინე, ალექსანდრე I და ვახტანგ IV აშენებდნენ ტაძრებსა, ამშვენიერებდნენ გაოხრებულ მონასტრებსა და სცდილობდნენ ქრისტიანობის დანერგვას იქ, საცა დროთა ბრუნვისაგამო ხალხი გადუდგა ქრისტეს სჯულსა. ყველაზე მეტი ამ მეფეთაგან იღვაწა ალექსანდრე I. ეს დაუღალავად შრომობდა თავის ქვეყნისათვის. ყოველი კუთხე საქართველოისა მას სცნობდა თავის კეთილ მოძღვრად, პატრონად და გამხნევებელად. მან, სხვათა შორის, აღადგინა დანგრეული სამთავრო სვეტი ცხოველის მცხეთის ტაძარი. რამდენიმე წელიწადს ხალხს სრულიად ხარჯი არ გამოართვა და თვითონ თავად-აზნაურებით იკვებებოდნენ თვისის საკუთარის შრომით. სასულიერო პირთა ზნეობის აღსადგენად

*) ანტონ კათოლიკოზის მიერ თქმული იამბიკო წამებულთათვის ქვაბთა-ხევის მონასტერსა შინა:

„ქვაბთა-ხევს წმიდა, სამხოლოო ივანი,
ეკკლესიისა პირმშოთასა საგვანი,
საკურთხეველი მსხვერპლთა ზეცად ამყვანი,
დაწულთ ნაბეჭდნი, კედელ-იატაკ-ქვანი,
ჩვენდა საქადულ, მუნ მსხვერპლი საღმრთო დაძვანი.“

**) თუმცა საქართველოს დასავლეთიდამ არ მოსდიოდა შემწეობა ქრისტიანთა ხალხთაგან, მაგრამ ქართველნი იმდენად გაბრაზებულნი იყვნენ სპარსელებზე, რომელ დედა-წულითურთ ჭსურდათ ამხედრება ევროპის ჯართან ერთად წინააღმდეგ მტერთა დასაცველად სარწმუნოებისა და თვისის ხალხისნობისა (ვინცენცი).

*) მონგოლნი ანუ თათარნი თუმცა ქართველების დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ ჩვენ ხალხს გაუკაცობისათვის, სხვა ხალხებთან შედარებით, პატივსაც სცემდენ. ქართველთ მოგზაურთ წმიდა ადგილებში არ არმევდნენ ხარჯსა. იერუსალიმში შეიარაღებულნი ბაირაღით შედიოდენ მხოლოდ ქართველნი, რომელთაც თვით ქალაქშიაც შეეძლოთ იარაღით სიარული. ოსმალნთ და მისირის სულტანთ იმდენად დაფასებული ჰყვანდათ ქართველნი, რომელ ჩვენი ტუფეთაგან ადგენდენ თვის საკუთარ ამალას ანუ ჯარს, რომელსაც შემდეგში ეწოდა მამელუკის ჯარი. მიხეილ ნიანდერი (XVI საუკ.) ჰმოწმობს, რომელ ქართველთა გაუკაცობა, გულოვნობა, სიმტკიცე ქრისტეს სჯულისადმი იმდენი უბედურებების შემდეგ აკვირვებს მთელს დასავლეთსო (ევროპას).

მანვე მოიწვია კრება მცხეთაში და ფლორენტინის სასულიერო კრებაზე გაგზავნა მიტროპოლიტი გრიგოლი (ბროსეს თქმით სოფრონი), რომელმაც არ მიიღო დადგენილება კრებისა და გამოიქცა საქართველოში *).

ჭოლოს ჟამს თვისის სიცოცხლისა ალექსანდრე ბერად შედგა, იწოდა ათანასედ; მცხეთის ტაძრის გვერდით აიშენა ეკეედერი, მეფობა გადასცა თავის შვილს ვახტანგს (1442 წ.) და თვით ქრისტესთვის დაიწყო მოღვაწეობა. შვილიც და მამაც დაიხოცნენ 1445 წელს. ბამეფდა ბიორგი მე VIII, რომლის მეფობის დროს საქართველო სრულიად გაიყო სამ სამეფოდ: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა და 5 სამთავროდ: აბხაზეთისა, ოდიშისა, სვანეთისა, გურიისა და სამცხისა (საათაბეგო). ამასთანავე იმერეთისა და ლიხს იქითი სამთავროებისათვის დაარსდა ახალი საქათოლიკოსო ქუთაისში. ქუთათელი აკურთხებდა ქუთაისში იმერთა მეფეთა და დამოუკიდებლად ჰმწყსიდა იმერთ სამწყსოთა. ამ დროიდანვე ჭყონდიდელმა **), მეფის პირველმა ვეზირმა (მინისტერმა), დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა არათუ ამერთა სამეფოთათვის, არამედ იმერთა სამეფო-სამთავროთათვისაც და ჰმართავდა მხოლოდ ჭყონდიდის მაზრასა (ეპარქიას).

ჩმისთანა უბედურ დროს საქართველოს ეკკლესიის გამაბრწყინვებელად გამოჩნდა მეფე დიმიტრი, რომელიც ბერად შეიმოსა (დაერქვა დამიანი), მას თვისის მაღალ ზნეობრივის ცხოვრებით და მაგალითებით უნდოდა განემხნევებინა სასულიერო წოდება და დაცალიერებულ მონასტრებში ისევ დაესახლებინა ბერ-მონაზონნი. მაგრამ ყოველი მეცადინეობა დამიანისა და სხვათა ვეღარ შველოდა ქვეყანასა, მით უმეტეს, რომ 1454 წ. სრულიად დაიმხო ბერძენთა იმპერია და მის მაგიერ დაარსდა ოსმალთა სამეფო ანუ სასულთნო, რომლის სატახტო ქალაქად შეიქმნა დიდებული კონსტანტინეპოლე, სტამბულად წოდებული. როდესაც ოსმალთ მკვიდრად ფეხი მოიდგეს საბერძნეთში, შემდეგ გადმოვიდნენ მცირე აზიაში და 1461 წ. დაამხეს თამარისაგან 1204 წ. დაარსებული ტრაპეზუნტის იმპერია და მერმე წამოვიდნენ საქართველოსკენ ქრისტიანთა ხალხთა გასაწყვეტად ანუ გასამაჰმადიანებლად.

ჩმისთანა საშიშარ დროს კათოლიკეთ ბერნი ქრისტიანთა ერის შველის მაგიერ სცდილობდნენ საქართველოში გაევრცელებინათ საკათოლიკო სარწმუნოება *). მათის ჩაგონებით მეფე კონსტანტინე მესამე კიდევ შემწეობას სთხოვდა პაპა ალექსანდრე VI, რომელიც შემწეობის მაგიერ უფრო აქეზებდა თავის სჯულის მქადაგებელთა საქართველოში და ტიუბინგენის და მარტინე ლუზისთან ერთად სცდილობდნენ ქართველთა ერი დაემორჩილათ თავის ტახტისათვის. მაგრამ ყველა მათი ცდა დაშთა ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა. მცხეთის საკათოლიკოსო ტახტი ისევ შეურყეველად დაშთა, თუმცა ზოგიერთთა მისთა მოწაფეთა ირწმუნეს რომის ტახტი. ესენი იყვნენ უფრო მეტად საათაბეგოს მცხოვრებნი.

ჩმის მიზეზი შეიქმნა ათაბეგი ავარაყვარე. 1580 წ. ავარაყვარე დატყვევებულ იქმნა ოსმალთაგან და კოსტანტინეპოლეში მან მიიღო მაჰმადიანობა და ისევ საათაბეგოს მმართველად გამოგზავნილ იქმნა. ტიუბინგენის მასწავლებელთა დოკტორმა იაკობ, ანდრიამ, ბერლახიმ, ანტონიმ, სუვეიცერმა და პროფესორმა მარტინე ლუზიმ ჩააგონეს ავარაყვარეს, რათა ნება მიეცა თვისის ქვეშევრდომთათვის მიეღოთ საკათოლიკე სარწმუნოება. აი იმის მიზეზი, რომელ ეხლა იმდენი ქართველი კათოლიკეა ახალციხის მხარეში.

მოსე ჯანაშვილი.

*) ფლორენტინის კრებაზე დაესწრო ტრაპეზუნტის მიტროპოლიტთან საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლ ერთი თავადითურთ. გრიგოლ, როდესაც ნახა სურვილი პაპისა და გაიგო მისი ჭაზრი საქართველოს ეკკლესიის შესახებ, იდუმალად გამოიქცა საქართველოში და ხელი არ მოაწერა კრების განჩინებაზე (Древ, биб. т. VI. გვ. 33—36). ამასვე ჰმოწმობენ დასავლეთის მწერალნი და თვით რუსეთის პატრიარხი ნიკონი (Лѣтоп. по Никонову списку, т. V, გვ. 145).

*) ჭყონი მეგრულათ ჭქვიან მუხასა. წარმართობის დროს სამეგრელოში მდგარა ერთი დიდი მუხა, რომლისთვისაც თაყვანი უცია მეგრელთა. ქრისტიანობის დროს დაუმხიათ ეს მუხა და მის ადგილას აუგიათ საეპისკოპოსო საყდარი და პატივისცემისათვის ქრისტიანობის გამარჯვებისა წარმართობაზე აქვე დაუწესებიათ კათედრა ჭყონდიდელისა (1001—1015 წ.) ამ კათედრაზე ირჩევდენ იმისთანა კაცს, რომელიც ცნობილი იყო თავის მაღალ-ზნეობით და სწავლა-განათლებით. ჭყონდიდელის „ხელოსანი „ხელოსანი იყვნენ ქვრივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთვის ყოველსავე მეფესა; ესევე იყო მწიგნობართ უხუცესი და ყოველთა სამეფოთა მწერალი; ესევე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკკლესია-მონასტერთ და ლაშქართა მოწვევ`დ, და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა; ესევე იყო ლაშქრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახიაული და ახალ წელს მაკვლევი მეფისა“ (ვახუშტი).

*) საკათოლიკო სარწმუნოება მართლმადიდებლობითი სარწმუნოებისაგან მით გაირჩევა მხოლოდ, რომ იმის წარმომადგენელი არის პაპი, რომელსაც ქრისტეს მოადგილედ ჰხადიან, სარწმუნოების სიმტკიცეშია დამატებული: „მრწამს სული წმიდა, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს.“ აგრეთვე მღვდლებს შეუღლების ნება არა აქვსთ.

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

Ესახებ გალობის აღდგინებისათვის ფულის მოგროვებაზე ჩვენ ვკითხულობთ „დროება“-ში შემდეგ წერილს:

„Დროების“ 207-ში ჩვენ წავიკითხეთ ერთი ჩვენი ხახლაღოჩინო მაზრის მცხოვრის ი. ხ—ის წერილი, რომლითაც ის ჩვენ გვთხოვს ანგარიშს ქართული საკრებულო გალობის აღდგინებისთვის შეკრებილი ფულების შესახებ. ფულის შემწირველს სრული უფლება აქვს შეიტყოს, მისგან შეწირული ფული სად არის, როგორ მოხმარეს ან რა სარგებლობა მოაქვს. ამისათვის ხიამოვნებით ვასრულებ მე. ი. ხ—ის თხოვნას.

Როგორც მახსოვს, 1881 წელს ოთხად სამღვდელო ალექსანდრემ ითავა 20 ათასი მანეთის შეკრება, მთავრობის ნება დართვით, იმ განზრახვით, რომ ამ ფულების სარგებლით დაქირავებულიყვნენ მასწავლებელნი გალობისა სასწავლებლებში ან ეხწავლებინათ, როგორც ქართული ისე გურული კილოს გალობანი ან ამ სახით აღდგენილიყო ორივე კილოს გალობა. ამის თარობაზე მოწოდებაც კი იყო დაბეჭდილი პატივცემულ ოთხად სამღვდელო ალემსანდრესაგან და უველა შემწირველებს ჭირდებოდა, რომ მათი სახელები ან შეწირული ფულის რაოდენობაც „დროებაში“ იქნებოდა გამოცხადებული. ოთხად სამღვდელომ ალექსანდრემ მიიღო სასულიერო მთავრობისაგან ფულის შესაკრებად წიგნი ან ამ წიგნით კიდეც გაიგზავნა ერთი თუ ორი ბერი ჩამოსავლელად მთელს საქართველოში. ამაზედ ბლაღოჩინებსაც ეპისკოპოსისაგან მოწერილობა გექონდა მიღებული, რომ სამღვდელოებაში შეგეკრიბა ფულები. მეც ერთ სახლაღოჩინო შეკრებილებაზე ვუთხარი სიტყვა რწმენებულ ჩემდამო სამღვდელოებას ან განვუმარტე ქართული გალობის აღდგინების საჭიროება. სამღვდელოებამ თავის კიბიდამ შეკრიბა ოც-ან-თოთხმეტი მანეთი ჩვენგან შეწირულ ფულიანად, შეადგინა სია, თვითონვე დაწერეს, თუ რამდენი შემოწირეს ან ჩამბარეს. მეც, მართალია, დავბერდი მათ იმ სიის დაბეჭდვას „დროებაში“. ეს ფულები მოწერილობის ძალით, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისთვის უნდა წარმედგინა. იმ სანებში ეკრილის ვაგზალზედ ვნახე ოთხად სამღვდელო ალექსანდრე; მან, სხვათა შორის, მითხრა, რომ ეს შეკრებილი ფულები მისთვის გამეგზავნა ან შემწეობა აღმომეჩინა ბერისთვის, რომელიც ჩემთან მოდიოდა წიგნით იმ სანებში გალობის აღდგინებისთვის ფულების მოსათხოვად. არ გასულა ერთი კვირა, მოვიდა ჩემთან ლორთქიფანიძე ბერი. მე მას კაცი გავატანე სახლაღოჩინოში. ეს ბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ან სოფელში მოგოგზავნილი ფული ორმოცი მანეთი მოიტანა ჩემთან ან მთხოვა გამეგზავნა ალექსანდრესთან. ეს ორმოცი მანეთი ან წინანდელი ოც-ან-თოთხმეტი მანეთი, სულ 74 მ., მე გავუგზავნე სიიოურთ ოზურგეთში ოთხად სამღვდელო ალექსანდრეს იანვრის 25 1883 წელსა, რომელზედაც ფოსტის კვიტანცია მიღებული მაქვს. ოთხად სამღვდელოს ალექსანდრეს მე ესთხოვე შემწირველების სახელების გამოცხადება „დროებაში“ თანახმად მათი სურვილისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღემდის არათერი არა გამოცხადებულა-რა ან არც ის ვიცი, მიიღო თუ არა ეს ფულები, ამისათვის ეთო ორიოდე სიტყვა გამოთქმული „ეწუმს“-ში იმის შესახებ, რომ შემწირველების სახელები გამოცხადებულიყო ან „დროებაში“-ში ან „ეწუმს“-ი, მაგრამ...

Ვფიქრობ, რომ პატივცემული ოთხად სამღვდელო ალექსანდრე შეგვატყობინებს: მიიღო თუ არა ეს 74 მ. ფული, ჩემგან გაგზავნილი იანვრის 25-ს 1883 წელს ფოსტით ოზურგეთში? თუ არ მიუღია, ჩვენ ვეცდებით საქმე დავიწყოთ ან ფოსტასგე მოვთხოვოთ.

ბლ. მლ. დ. ღ—ძე.

Ქართველ გაზეთში ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო წერილს:

Ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს ფრანგუზი ბ. მურიე, რომელსაც საფრანგეთი სახალხო განათლების სამინისტროსაგან მინდობილი აქვს ჩვენის ძველის ნაშთების გამოკვლევა ან აღწერა. განათლებული ბაზოგადოება კარგად იცნობს ბ. მურიეს, როგორც შემდგენელს ფრანგუზულის წიგნისას „La Mingrélie“, რომელშიაც სამეგრელო დაწვრილებით არის აღწერილი. ამას გარდა მალე გამოვა მისივე თხზულება „L'art au Caucase“ (ხელოვნება კავკასიაში), რომელიც ტექსტით, ცალკე ხურათებით მოგვითხრობს ისტორიას ჩვენი ხახელოვანი ძველი ხელოვნებისას. აი ეს უცხო სტუმარი რა შესანიშნავს წერილსა გვწერს ბეთანიის ტაძარზე.

„მ. ხ—ეს! ეს არის ესლა დაბრუნდი ბეთანიიდამ ან დაბრუნდი გულ ცოთუთქული. ის კედელი, სადაც მოჭრილია შესანიშნავი ფრესკა ხრულის ხურათებით თამარისა, დავითისა ან ლაშსი (ერთად ერთნი უტუსარნი, რომელნიც კი თქვენ მოგეპოვებათ) ან რომელთა ლორთქიფანიძე ბერი. მე მას კაცი გავატანე სახლაღოჩინოში. ეს ბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ან სოფელში მოგოგზავნილი ფული ორმოცი მანეთი მოიტანა ჩემთან ან მთხოვა გამეგზავნა ალექსანდრესთან. ეს ორმოცი მანეთი ან წინანდელი ოც-ან-თოთხმეტი მანეთი, სულ 74 მ., მე გავუგზავნე სიიოურთ ოზურგეთში ოთხად სამღვდელო ალექსანდრეს იანვრის 25 1883 წელსა, რომელზედაც ფოსტის კვიტანცია მიღებული მაქვს. ოთხად სამღვდელოს ალექსანდრეს მე ესთხოვე შემწირველების სახელების გამოცხადება „დროებაში“ თანახმად მათი სურვილისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღემდის არათერი არა გამოცხადებულა-რა ან არც ის ვიცი, მიიღო თუ არა ეს ფულები, ამისათვის ეთო ორიოდე სიტყვა გამოთქმული „ეწუმს“-ში იმის შესახებ, რომ შემწირველების სახელები გამოცხადებულიყო ან „დროებაში“-ში ან „ეწუმს“-ი, მაგრამ...

Ვფიქრობ, რომ პატივცემული ოთხად სამღვდელო ალექსანდრე შეგვატყობინებს: მიიღო თუ არა ეს 74 მ. ფული, ჩემგან გაგზავნილი იანვრის 25-ს 1883 წელს ფოსტით ოზურგეთში? თუ არ მიუღია, ჩვენ ვეცდებით საქმე დავიწყოთ ან ფოსტასგე მოვთხოვოთ.

ბლ. მლ. დ. ღ—ძე.

Ქართველ გაზეთში ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო წერილს:

Ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს ფრანგუზი ბ. მურიე, რომელსაც საფრანგეთი სახალხო განათლების სამინისტროსაგან მინდობილი აქვს ჩვენის ძველის ნაშთების გამოკვლევა ან აღწერა. განათლებული ბაზოგადოება კარგად იცნობს ბ. მურიეს, როგორც შემდგენელს ფრანგუზულის წიგნისას „La Mingrélie“, რომელშიაც სამეგრელო დაწვრილებით არის აღწერილი. ამას გარდა მალე გამოვა მისივე თხზულება „L'art au Caucase“ (ხელოვნება კავკასიაში), რომელიც ტექსტით, ცალკე ხურათებით მოგვითხრობს ისტორიას ჩვენი ხახელოვანი ძველი ხელოვნებისას. აი ეს უცხო სტუმარი რა შესანიშნავს წერილსა გვწერს ბეთანიის ტაძარზე.

„მ. ხ—ეს! ეს არის ესლა დაბრუნდი ბეთანიიდამ ან დაბრუნდი გულ ცოთუთქული. ის კედელი, სადაც მოჭრილია შესანიშნავი ფრესკა ხრულის ხურათებით თამარისა, დავითისა ან ლაშსი (ერთად ერთნი უტუსარნი, რომელნიც კი თქვენ მოგეპოვებათ) ან რომელთა

ფოტოგრაფიით გადადება ბ. ერმაკოვის შემწეობით, ჩემდა სიბედნიეროდ, მე მოგასწარ,— ეს კედელი გარეღვეულა ლ ჩამონგრევასა ლამის; ეველა სურათებზედ სხვა-ლ-სხვა ვანდალებს დაუგლეშნიათ ნასშირით, ან დანით ამოუჭრიათ თავიანთი სახელი, გვარი ლ სახსოვარი დღე მათის მიბძანებისა. აქ არც კარია, არც ფანჯარა. უხვ-მტენარეობას ეველაფერი დუმალავს; საქონელი ეველგან თავისუფლად დაიარება. პირველსავე ქარიშხალზედ ჩამოცვივიან ის აგურები, რომელთაც გუმბათი ოდნავ-და უმაგრიათ ლ საუკუნოდ ამოიშლება კვალი საქართველოს სელოვნების ამა მშვენიერი ნიმუშისა! დროს ნულარ დაჰკარგავთ. გეკედრებით ისტორიის სახელით; სახელით იმ თამარ დედოფლისა, რომელიც არის ერთი თქვენი დიდებათაგანი ლ რომლის გახსენება კმაროდა, რომ ზიჩის თავისი კალამი არ დაეშურა რუსთაველის იდუსტრიულ გამოცემისათვის; სახელით იმ წარსულისა, რომლის მჭერ-მეტყველ მოწმადაც, გარდა დანგრეულ ტიხ-სიმაგრეებისა, არიან ეკლესიანი ლ მონასტრები კაკასიისა, საქართველოს მეფეთა განსასვენებელი, რომელნიც აქა-იქ ყამთა ცვლილებას დანგრევისაგან დაუფარავს; სახელით იმ პატივისცემისა, რომელსაც უნდა გრძნობდეთ სარწმუნოებისადმი აღგებულ ეოველ ქმნულებისადმი, — სულ ერთია რა რელიგიისა ლ ეროვნებისაც უნდა იყოს იგი. დასასრულ, სელოვნების სახელით — გეკედრებით,— უშველეთ ბეთანიას! იქნება, ერთ ას თუმანზედ მეტი არ დაგჭირდეს აუცილებლად საჭირო გასაკეთებლებისათვის. მაშ „დროებამ“ იკისროს ეს სასელოვანი საქმე ლ გამოაცხადოს სელის-მოწერა თავის ფურცლებზედ! მიჰმართეთ ეველას ლ მე დარწმუნებული ვარ, არავინ არ გადრკება ლ ეველა მოგაწოდებთ თავის წვლილს. ვიდრე თბილისში აღუგებდეთ „დიდების ტაძარს“, უბრალო ფიცრის ჭერი მაინც დახურეთ თქვენს „დიდებულს“ ლ გამოჩენილს დედოფალს.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩხალი გამოსული უქაზის ძალით, შესახებ საეკკლესიო-სამრეველო სკოლების დაარსებისა, მისს მაღალ ეოველად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოს პაველს მოუხდენია განკარგულება. მას აღურჩევია სამრეველო სკოლების სამასწავლებლო რჩევის წევრებად: დეკანოზი ბიორგი ხელიძე, დეკანოზი ე. ელიევი და მ. ქონჩუეევი. ამათთვის მიუნდვია პროგრამის შემუშავება და სხვა სასწავლებლის საქმის წინ გაძღოლა.

***

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ იმერეთის ეპარხიალური სამღვდელოების შეკრებილება არის დანიშნული მომავალ ნოემბრის რვას. მღვდელ-მთავრის მიწერილობაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ სამღვდელოებას სასწავლებლის საქმეების გარდა ექნება მსჯელობა ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ და ამ საქმის წარმოებისთვის კომიტეტის დანიშვნაზე. აგრეთვე ამ შეკრებილებაზე ექნებათ მსჯელობა საეკკლესიო-სამრეველო სკოლების დაარსების შესახებ. კარგად მოიქცნენ სამღვდელოების დეპუტატები, რომ წარსულ კრებაზე შემდეგი რიგის ყრილობა გადასდვეს ამ ნოემბრის თვისათვის. ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ამ საჭირო საგნებზე ლაპარაკი აღარ მოხდებოდა წელს. უკანასკნელ შეკრებილებაზე სამღვდელოების დეპუტატებმა ვერ მიიღეს სასწავლებლის ხარჯის ანგარიში. იმედია, რომ ამ უკანასკნელ შეკრებილებაზე მაინც მიიღებს სამღვდელოება ამ ანგარიშებს.

***

ებეჭდებიან და მალე გამოვლიან საბეჭდაეიდგან ხუცური ასოებით დაბეჭდილნი: კონდაკი, ლოცვანი და დაეითნი. დაბადება კარგი ხანია გამოსულია, მაგრამ გვიკვირს, რომ ჯერეთაც არ დარიგებულა ეკკლესიებზე.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოწაფე ტ. ბებურიშვილი ამ თვის ცამეტს გადაცვლილა, როგორც ამბობენ, ხურეებით. ეს მოწაფე ძლიერ ბეჯითი და მოცადინე იყო და საიმედო პირი დარჩებოდა, მაგრამ ერთი თვის მეტი ვერ გასძლო თფილისში. ბევრი იმერელი ყმაწვილები უმსხვერპლებია თფილისის მათთვის უცხო და შეუჩვეეარ ჰავას...

***

ურპირის სასოფლო სკოლის მასწავლებლის იასონ ძაპანაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: „ჩემ დღეებში მე ჩამოვარდა ხელში ერთი ძველებური ხელთ-ნაწერი ქართული წიგნი, რომლის პირველ გვერდზე შემდეგი სიტყვები ეწერა: „საპოლიტიკო თეატრი, ესე იგი საყოფაქცეო სახილველობა: თარგმნილი ლათინურიდგან ელლინურსა ენასა ზედა უმაღლესისა ყდ. ბრძნისა უნგროვლახიის

მთავრისა ნიკოლაოზ მაერო ქორდატოვისაგან.“ ელლინურიდგან ეს წიგნი, როგორც გვიჩვენებდა იგივე გვერდი, გადმოთარგმნილი ყოფილა ქართულს ენაზედ იერუსალიმის არხიმანდრიტი ვენედიქტესაგან. მე მინდოდა ეს წიგნი როგორმე მომეპო�ia, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, რომ პატრონმა ხუთ თუმან ნაკლებ ფეხი არ მოუცვალა, და აბა, მითხარით, სად შემეძლო მე, სოფლის მასწავლებალს, ხუთი თუმნის ერთად მიცემა? წარმოიდგინეთ, რომ, რადგან შემატყო, აღარ ეყიდულობდი, ნათხოვრობითაც აღარ მათხოვა ერთ-ორ დღესა, რომ ხეირიანად გავცნობოდი ამ წიგნის შინაარსს... წიგნი არის მშვენიერის ძველი მრგვალი ქართულის ხელით დაწერილი და შეიცავს 303 გვერდს. ეს წიგნი, როგორც მითხრეს, ჩაუგდია პრიჩეტნიკს, ნადარაშვილს (რომელმაც ხუთი თუმანი მთხოვა) ხელში ამას წინად გადაცვლილის სამეგრელოს დედოფლის წიგნთ-საცავიდგან. მე ვიცი კიდევ ერთი მოხუცებუპირი, რომელიც ამ დედოფლის სასახლეში ყოფილა ძველად მწერლად და რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები აქვს, რომლებშიდაც ურევია თურმე მეფე ვახტანგის ხელთ-ნაწერი კანონები; მაგრამ ვიღასაც დაუტყუებია მისთვის ამას წინედ ერთი ძველებური წიგნი და ამით დაშინებული ახლა აღარავის აღარ აჩვენებს ამ წიგნებსა. მე ვსთხოვე რამდენჯერმე ეჩვენებია ჩემთვის ეს წიგნები, მაგრამ ყოველთვის უარი მითხრა, რადგან წართმევის ეშინოდა. ქარგი იქნება ამ წიგნთ-საცავს, რომელშიდაც, როგორც ამბობენ, ბევრი ძველი ქართული წიგნები მოიპოვება ჩვენი ძველებური ცხოვრების შესახებ, მკაცრ ყურადღებას მიაქცევდეს უფუანათლებულესი ძე დედოფლისა, ნიკოლოზი და უკეთუ იზამს იმ სიკეთეს, რომ ზოგიერთა ძველ ხელთ-ნაწერებს მაინც გადასცემს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დასაბეჭდად, ამას რაღა ემჯობინება!“

მართლ-მადიდებელის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების აღხსნა და განმარტება.

გარდაცვალებულის მოხსენების დროს საჭიროა თუ არა მღვდელმა მოიხსენიოს გარდაცვალებულის ქვეყნიური წოდება, მაგალ.: აზნაური, თავადი, გენერალი ტ სხვანი?

Როგორც კვერკესზე ისე ესმაღლებლებზე მღვდელმა რიგი არ არის მოიხსენიოს გარდაცვალებულის ქვეყნიური წოდებანი ტ ჩინი, მაგალითებრ: აზნაური, თავადი, გენერალი, პოლკოვნიკი ტ სხვ. ამისთანა მოხსენება ხრულებით არ ეოფილა ჩვეულებად მართლ-მადიდებელ ეკკლესიაში. მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლისამებრ ყოველი გარდაცვალებული კაცის გვამი ერთად მოიხსენებიან მონად ღვთისად ტ ეველას ერთი პატივი ეძლევა. ამისათვის მღვდელმა, ვინც უნდა იყოს გარდაცვალებული, გენერალი იქნება, თავადი თუ აზნაური, ეველა უნდა მოიხსენიოს მონად ღვთისად...

რედაქციის პასუხი.

ს. ღებს. მღ. მ. ბავაშელოეს. თქვენს ჩვენდამო მომართულ გრძნობით სავსე წერილს ვერ ვპეჭდავთ, რადგან ზოგიერთი მკითხველები მის დაბეჭდას, თავის ქებად ჩამოგვართმევენ და ამას ჩვენ ვერიდებით. ან როგორ უნდა გავამტყუნოთ მიყრუებული სოფლების მღვდლები, რომ ისინი ეურნალ-გაზეთებს არ კითხულობენ, როდესაც ერმამ ქალაქის მღვდელმა აი რა სთქვა: „ღმერთმან მაშოროს სასულიერო ეურნალ-გაზეთის კითხვა, ამდენი ხანი თავი დამიფარავს და არც ერთი გაზეთი არ წამიკითხავს და ეხლა როგორ წავიწყმედ ჩემს სულს და გაზეთებს დაეწყებ კითხვას? ჩემი გაზეთი ეურთხევანი არისო“. მოდი და გაამტყუნე შენ საწყალი ღარიბი სოფლის მრევლის მღვდელი, რომ გაზეთს არ იწერს და არ კითხულობს!...

სიღნაღს. დ. ს. ბ. თქვენ კითხულობთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მართლ-მადიდებელი მღვდელი არა მართლ-მადიდებელ ქრისტიანთა დამარხვის დროს, როდესაც მათი მღვდელი არ არის. ამის განმარტება იხილე „მწყემსი“-ს მე-№ 10-ში. მართლ-მადიდებელი მღვდელი სრულებით ვალდებული არ არის, რომ სომხის ეპისკოპოზს შეეგებოს შემოსილი.

ს. ძ—თს. მ. ა. აო—ს. სასწავლებლის შესანახავად გადასახადი ჩფული დადებული არის მრევლზე და არა მღვდელზე. მღვდელს რომ სასწავლებელში შვილი არ ჰყავდეს, ამით ის თავს ვერ განითავისუფლებს გარდასახადისაგან. ეს წესი სუფევს მთელს რუსეთის იმპერიაში და ჩვენცა მას უნდა დავემორჩილოთ.

განცხადებანი.

დაიბეჭდენ და ისყიდებიან

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაგრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე.

ფასი მანათ-ნახევარი

თბილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან—იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან.

(10—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „მწყემსის“ რედაქციიდამაც.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქათველოს უმთავრეს ქალაქებში.

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

სიტყვანი და ფესხმანი

ჩადალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ექსარხოსის შავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 გაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.

Дозв. цензурою Кутаисъ, 13 Октября 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მხწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ⁊ ფერაძისა.